ემოციის რეგულირების სტრატეგიებსა და კრეატიულ აზროვნებას შორის კავშირის შესწავლა

მარიამ ანდრონიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან მირცხულავა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ავთენტურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ანდრონიკაშვილი, 2021 წელი.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება ემოციის რეგულირების სტრატეგიებსა და კრეატიულ აზროვნებას შორის კავშირის შესწავლას. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემიის 65 მოსწავლემ, მათი ასაკი მერყეობდა 13-დან 18 წლის ჩათვლით. კრეატიული აზროვნების გასაზომად მათ შეავსეს პ. თორენსის ვერბალური კრეატიული აზროვნების ტესტი (TTCT), რომლის მიხედვით მოხერხდა კრეატიული აზროვნების 3 პარამეტრის გაზომვა: სისხარტის, მოქნილობისა და ორიგინალობის. მონაწილეების ემოციის რეგულირების სტრატეგიების ტენდენცია დადგინდა გროსის და ჯონის ემოციის რეგულირების კითხვარის მიხედვით (ERQ), რომელიც განსაზღვრავს ემოციის რეგულირების ორ სტრატეგიას: კოგნიტური გადაფასების და ექსპრესიული ჩახშობის. ცვლადებს შორის კავშირი დადგინდა პირსონის კორელაციის მიხედვით. შედეგებმა აჩვენა, რომ ემოციის რეგულირების ცვლადი გავლენას ახდენს ვერბალურ კრეატიულ აზროვნებაზე. კერძოდ ემოციის რეგულირების ექსპრესიული ჩახშობის სტრატეგია მნიშვნელოვან უარყოფით კორელაციაშია ვერბალურ კრეატიულ აზროვნებასთან და ასევე მოქნილობისა და ორიგინალობის პარამეტრებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოციის რეგულირება, ექსპრესიული ჩახშობა, კოგნიტური გადაფასება, კრეატიული აზროვნება, სისხარტე, მოქნილობა, ორიგინალობა.

Abstract

The following Master Thesis aims to examine the connection between creative thinking and emotion regulation strategies. Quantitative research was conducted among 65 High School students, ranging from 13 to 18 years, at The Guivy Zaldastanishvili American Academy in Tbilisi. To assess creative thinking abilities, Torrance Tests of Creative Thinking (TTCT) was used. Created by Paul Torrance, TTCT measures verbal creative thinking with its three following parameters: fluency, flexibility and originality. The tendencies of participants' emotion regulation strategy was determined by the Emotion regulation questionnaire (ERQ) by Gross and John, which identifies two strategies of emotion regulation: cognitive reappraisal and expressive suppression. The relationship between variables was determined by Pearson's correlation. Results indicate that emotion regulation shift has an impact on verbal creative thinking. Specifically, the strategy of expressive suppression significantly correlates with verbal creative thinking and its parameters of flexibility and originality, but not with parameter of fluency.

Key Words: Emotion Regulation, cognitive reappraisal, expressive suppression, creative thinking, fluency, flexibility, originality.

განსაკუთრებული მადლობა

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, რუსუდან მირცხულავას. ასევე, მადლობას ვუხდი გაწეული დახმარებისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პედაგოგს და დოქტორანტს, ნინო სხირტლაძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, ივანე კეჭაყმაძეს, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის ადმინისტრატორს, ია თოფურიას და ამერიკული აკადემიის ყველა იმ მოსწავლეს, რომელმაც მიიღო ჩემს კვლევაში მონაწილეობა.